

პროცესიული შერჩევის პროცესში გამოყენებული**ტესტების სანდობა**

მარიამ ნონიკაშვილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

რეზიუმე

კადრების პროფესიული შერჩევა და განაწილება სამუშაო ადგილებზე, კანდიდატთა შერჩევა მიზნობრივი სწავლებისთვის თანამედროვე პირობებში კონკრეტულ ეკონომიკურ გამოხატულებას იძენს. პიროვნების უნარის სწორი დიაგნოსტიკა ხელს უწყობს თითოეული ადამიანის შესაძლებლობებისა და მიღრეკილებების შესაფერისი პროფესიის შერჩევას მისი ინდივიდუალური თვისებებს გათვალისწინებით. ობიექტური შეფასება ძირითადად მიღწევა ტესტების საკმაოდ კარგად დამუშავებული და მოქნილი სისტემის მეშვეობით. პროფესიული შერჩევის ტესტირების დროს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ტესტის სანდობის გაზომვას. ნაშრომში წინა პლანზეა წამოწეული პროფესიული შერჩევის ტესტების სწორად გამოყენების საკითხი სანდობასთან მიმართებაში, მოცემულია სანდობის შეფასების მეთოდები და გაწერილია ამ საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: პროფესიული შერჩევა. ტესტების სანდობა.

1. შესავალი

ბუნებაში არ არსებობს ინსტრუმენტი, რომელსაც შეუძლია რამე პარამეტრის 100%-ანი სიზუსტით გაზომვა. ისეთ ზუსტ ხელსაწყოსაც კი, როგორიცაა ატომური საათი, აზასიათებს მცირე ცდომილება. მეცნიერულ კვლევებში დიდი მნიშვნელობა აქვს შედეგების გაზომვის სიზუსტეს. ამიტომ, აუცილებელია თვით საზომი ინსტრუმენტის სანდობის დაღენა და იმის განსაზღვრა, თუ როგორია მისი ცდომილების დონე. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით საშუალება იქნება განისაზღვროს გამოანგარიშებული მაჩვენებლის დასპეციალური ცდომილება.

გაზითმის ცდომილებას, ასევე, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება პროფესიული შერჩევის პროცესში ტესტების გამოყენების დროს, რომელიც „ტესტის სანდობის კოეფიციენტით“ განისაზღვრება. ტესტირების შედეგად ვიღებთ ქულებს, მაგრამ ისინი იდეალური სიზუსტით არ გამოირჩევა. ქულების მეშვეობით ხდება შხოლლდ გარკვეული წარმოდგენის ჩამოყალიბება ადამიანის შესაძლებლობებისა და პიროვნული მახასიათებლების შესახებ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტესტის სანდობის კვლევა და კოეფიციენტის გამოთვლა აუცილებელია სათანადო შედეგების მისაღებად [1].

2. ძირითადი ნაწილი

ტესტის სანდობა უკავშირდება გაზომვის სიზუსტეს. იგი მოიცავს ტესტის შიგნით გაზომვის ცდომილებებს, ტესტის ჩატარების ადმინისტრირებას და ქულების დათვლას. არსებობს 5 ძირითადი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს და ამცირებს ტესტის სანდობას. 1-ელ ნახაზზე მოცემულია ეს ფაქტორები სქემის სახით და, აგრეთვე, მათი მოკლე დახასიათება [1].



ნახ.1

- ❖ **პირობები:** ცუდი განათება, მოუხერხებელი მაგიდა, ხალხმრავლობა, ხმაური, გადაწერის საშუალება;
- ❖ **ადმინისტრატორის ინსტრუქციები:** სტანდარტიზებული ინსტრუქციების ნაკლებობა, მაგალითების გაუგებრად ჩამოყალიბება, უაზრო შენიშვნები ადმინისტრატორის მხრიდან, დროის არააკურატული აღრიცხვა, ადმინისტრატორის მიერ ინსტრუქციების იგნორირება;
- ❖ **ჭულათა ათვლა:** არასწორი პასუხების გამოყენება, ჭულათა დათვლის ინსტრუქციების გაუთვალისწინება და სხვა ხარვეზები, სატესტო ინსტრუმენტების არასწორად გამოყენება;
- ❖ **დროებითი ფაქტორები:** ავადმყოფობა, გადაღლა, მოტივაციის არარსებობა, დღის არასასურველი მონაკვეთი, გამოუცდელობა;
- ❖ **შინაარსი:** ორაზროვანი ან ბუნდოვანი წინადადებები, ზედმეტად მოკლე და გაუგებარი ტექსტი, ცუდი გაფორმება, მაგალითების ნაკლებობა, შინაარსისა და მაგალითების წინასწარ გაცნობის უგულვებელყოფა.

2.1. კავშირი სანდოობასა და ვალიდობას შორის

ტესტის სანდოობა მნიშვნელოვანია ტესტის ვალიდობასთან კავშირის გამო. ტესტის ვალიდობაში იგულისხმება ზომავს თუ არა ტესტი იმ პარამეტრებს, რისთვისაც იგი არის განკუთვნილი. ტესტი ზოგადად შეიძლება იყოს სანდო, მაგრამ არ იყოს ვალიდური ანუ არ ემსახურებოდეს წინასწარ დასახულ კონკრეტულ მიზანს. მაგრამ, თუ ტესტი ვალიდურია, მაშინ იგულისმება, რომ იგი აუცილებლად სანდოცაა. თუ ტესტი ან ინტერვიუ მოიცავს ძალიან მწირ ან სუბიექტურ ფაქტორებს, მაშინ იგი არ იქნება ვალიდური. ზოგადად, სანდოობა წარმოადგენს ვალიდობის წინაპირობას.

მაღალი სანდოობისა და დაბალი ვალიდობის მქონე ტესტის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ფიზიკოსების კვალიფიკაციის შემფასებელი ტესტის გამოყენება მბეჭდავების შერჩევისთვის. მოკლედ რომ ვთქვათ:

- სანდოობის არსი ტესტის სწორად გამოყენებაა (Reliability is getting the Test Right), ხოლო ვალიდობისა – სწორი ტესტის გამოყენება (Validity is getting the Right Test);
- ტესტის სანდოობის დადგენა ხდება სანდოობის კოეფიციენტის გამოვლით;
- სანდოობის კოეფიციენტის გამოყენებით შესაძლებელია ცალკეული ჭულის ცდომილების დასაშვები დაიპაზონის დადგენა [2].

2.2. ტესტის სანდოობის შეფასების მეთოდები

ტესტის სანდოობა ძირითადად გამოიხატება როგორც კორელაცია ინდივიდთა ერთი და იმავე ჯგუფისთვის ტესტის ჭულათა ორ ან მეტ კრებულს შორის. ძირითადად გამოიყენება შერჩეული მომენტების კორელაციის კოეფიციენტი. არსებობს სანდოობის შეფასების სამი ძირითადი ფორმა [1]: ტესტი-რეტესტი; ალტერნატიული ფორმა და შინაგანი მდგრადობა.

ტესტი-რეტესტი (მდგრადობა). რეტესტი ეწოდება პროცესს, როდესაც ხდება ადამიანთა ერთი და იმავე ჯგუფთან ერთხელ ჩატარებული ტესტის ხელმეორედ ჩატარება გარკვეული პერიოდის შემდეგ. ამ პერიოდის ხანგრძლიობის შერჩევას გარკვეული მნიშვნელობა აქვს და იგი, ჩვეულებრივ, დაახლოებით ერთი თვეა. ტესტი-რეტესტული სანდოობა გულისხმობს პირვანდელი ჭულების კორელირებას მეორედ ჩატარებული ტესტის ჭულებთან. კორელაციის მაღალი კოეფიციენტი ნიშნავს ტესტის მაღალ სანდოობას. აღნიშნულ მეთოდთან დაკავშირებით პრობლემები იქმნება ისეთი ფაქტორების გამო, როგორიცაა მოტივაცია და მეხსიერება, რაც უარყოფითად მოქმედებს რეტესტის შედეგებზე.

ალტერნატიული (პარალელური) ფორმა. ეს არის ადამიანთა ერთი და იმავე ჯგუფის ტესტირების შედეგების კორელაცია იმავე ტესტის სხვადასხვა ფორმების გავლის შედეგებთან ანუ

ეს არის იმის შეფასება, თუ რამდენად ერთნაირად ზომავს გარკვეულ უნარს ტესტის სხვადასხვა ფორმა. ამ შემთხვევაში შედეგის სიზუსტე განისაზღვრება ტესტის პარალელური ფორმების შესაბამისობის მაღალი დონით საწყის ტესტთან, რაც ხშირად საკმარისად მნელი მისაღწევია.

შინაგანი მდგრადობა. შინაგანი მდგრადობა ან „პომოგენურობა“, როგორც მას ხშირად უწოდებენ, გულისხმობს ტესტის ყველა კითხვას შორის შინაარსობირივ მსგავსებას. შინაარსობრივი მდგრადობის შეფასების ერთ-ერთი მეთოდია წყვილური შედარების მეთოდი, რომლის დროსაც ტესტი იყოფა ორ ნაწილად, ვთქვათ - კენტ და ლუწ კითხვებად და ხდება მათ შორის კორელაციის დადგენა. კორელაციის მაღალი კოეფიციენტის მიღების შემთხვევაში ითვლება, რომ ტესტის სანდოობაც მაღალია. მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ დროს კლებულობს კალიდობის ხარისხი. ამრიგად, ამ საკითხების გადაწყვეტისას საჭიროა გარკვეული კომპრომისის მიღწევა.

ძირითადი შენიშვნები. პიროვნების უნარის შეფასების ტესტებში ზემოთ მოყვანილი მეთოდების მიხედვით სანდოობის კოეფიციენტი უნდა იყოს 0.7 ან მეტი. ტესტის სანდოობის შეფასებისას ძირითადად ვითვალისწინებთ თვით ტესტის რეალურ ცდომილებას და არა იმ ცდომილებებს, რომელიც შესაძლოა გამოწვეული იყოს გარეშე ფაქტორებით. ასეთი ფაქტორების მინიმუმირების აუცილებელია ტესტირების მოშზადების, ადმინისტრირებისა და ქულების ათვლის პროცესში.

2.3. ტესტის ქულათა ცდომილებების განსაზღვრა

ტესტირების შედეგად მიღებული ქულები ყოველთვის მოიცავნ გარკვეულ ცდომილებებს. იმისათვის, რომ შეფასებები იყოს მაქსიმალურად ზუსტი, უნდა მოხდეს ტესტის სანდოობის კოეფიციენტის გამოანგარიშება ზემოთ მოყვანილი ერთი ან რამდენიმე სტანდარტული მეთოდის მეშვეობით. მაგრამ, თუ ტესტის ყველა საკითხი შეიცავს გარკვეულ უზუსტობას, არის თუ არა გზა, რომ მოხდეს ცალკეული ქულების დასაშვები ცდომილებების დადგენა ?

არსებობს სტატისტიკური ხერხი, რომელსაც ეწოდება გაზომვის სტანდარტული შეცდომის (SEm) გამოანგარიშება. მისი საშუალებით ხდება ამ პრობლემის გადაჭრა [1].

აღსანიშნავია, რომ გაზომვის სტანდარტული შეცდომა (SEm) გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე გაჰქვს ცალკეულ ქულებთან, ხოლო საშუალოს სტანდარტული შეცდომა (SE_{MEAN}) გამოიყენება ქულათა ორი ჯგუფის ცდომილებების შესასწავლად.

გაზომვის სტანდარტული შეცდომის გამოანგარიშება (SEm). კონკრეტული ქულის შემთხვევაში გაზომვის სტანდარტული შეცდომა საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ ის დიაპაზონი, რომელშიც სავარაუდოდ მოხვდება კანდიდატის ქულა რეტესტირების დროს. ამის გამოანგარიშება ხდება რელევანტური ქულების სტანდარტული გადახრის და სანდოობის კოეფიციენტის საშუალებით. SEM-ი ძირითადად გამოიხატება არა პროცენტილებისა და დონეების საშუალებით, არამედ ძირეული ან სტანდარტული ქულებით. SEM-ი გამოითვლება შემდეგნაირად [1]:

$$SEm = SD \sqrt{1 - r_t}$$

სადაც r_t არის სანდოობის კოეფიციენტი; SD – ქულების სტანდარტული გადახრა ძირეული ქულების, Z-ქულების, T-ქულების ან ქულათა რაიმე სხვა სტანდარტული სისტემის მიხედვით.

პრაქტიკულად 76 ადამიანს ჩაუტარდა კომპიუტერული ცოდნის შეფასების ტესტი. შედეგების ანალიზისა და შესაბამისი გამოთვლების ჩატარების შემდეგ მიღებული იქნა ქულების სტანდარტული გადახრა SD = 6.14 და სანდოობის კოეფიციენტი $r_t = 0.88$. მოცემული კოეფიციენტის მიხედვით:

$$SEm = 6.14 \sqrt{1 - 0.88} = 2.13 \text{ raw scores}$$

გაზომვის სტანდარტული შეცდომა შეიძლება განისაზღვროს როგორც რეალური ქულიდან გადახრის დიაპაზონი.

ნორმალური განაწილების შემთხვევაში რეტესტირების ან ტესტის პარალელური ფორმის ჩატარებისას ალბათობა იმისა, რომ ინდივიდის ქულა იქნება $+/- 1$ სტანდარტული გადახრის ფარგლებში, 68% სიზუსტით შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, ხოლო $+/- 2$ სტანდარტული გადახრის ფარგლებში – 95% სიზუსტით.

აქედან გამომდინარე, ზემოთ მოყვანილი მაგალითის მიხედვით, თუ აპლიკანტის ქულა არის 24, არსებობს 68% იმის ალბათობისა, რომ მისი რეალური ქულა არის 21.87-ისა და 26.13-ის ფარგლებში (ქულათა დამრგვალებისას – 22-ს და 26-ს შორის). ხოლო 95%-ით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ რეალური ქულა მერყეობს 20-სა და 28-ს შორის.

რეკომენდაციები: ღირებული ტესტი ყოველთვის მოიცავს ინფორმაციას სანდოობის შესახებ. თუ ამ სახის მონაცემები არ არის მოცემული ტესტის დანართში, არ გამოიყენოთ ასეთი ტესტი; ტესტის სანდოობა ნაწილობრივ დამოკიდებულია მის სიღიღეზე. ამიტომ, გრძელი ტესტი უფრო სანდოა, ვიღრე მოკლე; იმ შემთხვევაში, როდესაც ტესტი შედგება ურთიერთდამოკიდებული კითხვებისგან, არ შეიძლება შინაგანი მდგრადობის სანდოობის გამოყენება, რადგან ხელოვნურად მივიღებთ მაღალ კოეფიციენტს; თუ ტესტი გვიჩვენებს მაღალ ტესტი-რეტესტულ სანდოობას, ეს არ გამორიცხავს გავარჯიშების ეფექტს ტესტის ხელახლი გამოყენების შემთხვევაში [3].

3. დასკვნა

ამრიგად, ტესტების კორექტულად გამოსაყენებლად აუცილებელია შემოწმებული სანდო ტესტები. ასეთი ტესტები კადრების პროფესიული შერჩევის წარმატებით განხორციელებული პროცედურის ერთ-ერთი წინაპირობაა და შედეგად სასურველ პოზიციაზე სწორი (პოზიციისთვის კომპეტენტური) კადრის მოძიების საშუალებას იძლევა.

ლიტერატურა:

1. Occupational Testing, SHL training academy. 2006
2. Intelligence Testing 1928-1978: What Next? by Philip Ewart Vernon. 1978
3. Веснин В. Р. Управление человеческими ресурсами. Теория и практика. Москва, Проспект, 2013.

TEST RELIABILITY FOR PROFESSIONAL SELECTION PROCESS

Nonikashvili Mariam
Georgian Technical University

Summary

Selection and distribution of professional staff in the workplace, selection of candidates for targeted training assumes concrete expression in modern conditions. Properly diagnose to an individual ability contributes the selection of a suitable profession of each person's abilities and propensities. An objective assessment of the tests can be achieved through a well-designed and flexible system. It is essential to measure the test reliability of during a professional selection testing. In this work is given reliability assessment methods and provides recommendations related to this issue.

ИСПОЛЬЗОВАНИЕ ПРОФЕССИОНАЛЬНОГО ОТБОРА ДЛЯ ПРОВЕРКИ НАДЕЖНОСТИ СОТРУДНИКОВ

Ноникашвили М.

Грузинский Технический Университет

Резюме

Профессиональный подбор кадров и их распределение на рабочие места, выбор кандидатов для целебого обучения в современных условиях приобретает конкретное значение. Правильная диагностика навыков личности способствует выбору профессии в соответствии с его индивидуальными возможностями и стремлениями. Объективная оценка в основном достигается посредством хорошо разработанной и гибкой системой тестов. В работе на первый план выдвигается вопрос правильного использования тестов относительно его достоверности, дан метод оценки достоверности и приведены связанные с ней рекомендации.